საქართველოს მთავრობის

დადგენილება №176

2010 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№2464 – რს) მე-2 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების თანდართული წესი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 29.03.2012წ.

სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესი

მუხლი 1.

ეს წესი ადგენს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის შედეგად გამოვლენილი ან მწარმოებლის/დისტრიბუტორის მოთხოვნის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამო ან/და ვადაგასული სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განადგურების სამართლებრივ საფუძვლებს და არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების პროცესში მონაწილე პირთა ურთიერთობებს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 29.03.2012წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო);

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების განადგურება – სურსათის/ცხოველის საკვების მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური ან/და სხვა სახის დამუშავება, განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, დამარხვა, დაწვა, საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვება, ბიოთერმულ ორმოში მოთავსება, ან მათი ნებისმიერი კომბინაცია;

გ) სურსათის/ცხოველის საკვების უტილიზაცია – სურსათის/ცხოველის საკვების მეორეული გამოყენება მატერიალური ან/და ენერგეტიკული რესურსების სახით;

დ) ტექნიკური გადამუშავება – ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც სურსათის/ცხოველის საკვების უტილიზაციისათვის გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებათა შეცვლის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 29.03.2012წ.

მუხლი 3. სურსათის/ცხოველის საკვების განადგურება

1. სურსათი/ცხოველის საკვები ექვემდებარება განადგურებას, თუ იგი:

ა) არ შეესაბამება „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ვადაგასულია.

2. გადაწყვეტილებას სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების შესახებ იღებს სააგენტო. სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება მწარმოებელს/დისტრიბუტორს.

3. თუ სურსათის/ცხოველის საკვები წარმოადგენს დაავადების აღმოცენების, გავრცელების ან/და გარემოს დაბინძურების წყაროს, მისი განადგურების მეთოდებს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს სააგენტო.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შემთხვევების გარდა, განადგურების მეთოდები, პირობები და ვადები შერჩეული უნდა იქნეს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ სააგენტოსთან შეთანხმებით.

5. სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების ხარჯების (მათ შორის, შენახვისა და ტრანსპორტირების) ანაზღაურება ხდება მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ.

6. სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების შესახებ სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა მწარმოებლისათვის/დისტრიბუტორისათვის.

7. სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებას ახორციელებს მწარმოებელი/დისტრიბუტორი სააგენტოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

8. სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების შემდეგ დგება სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების აქტი (დანართის შესაბამისად) ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე – მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ ინახება ორი წლის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 29.03.2012წ.

მუხლი 4. სურსათის/ცხოველის საკვების უტილიზაცია

1. შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს მიერ სურსათის/ცხოველის საკვების სანიტარიულ-ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარიული ან/და ფიტოსანიტარიული ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ნებადართულია სურსათის/ცხოველის საკვების უტილიზაცია ტექნიკური გადამუშავების გზით.

2. აკრედიტებული ორგანოს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებას უტილიზაციის განხორციელების შესახებ იღებს სააგენტო.

3. უტილიზაცია ნებაყოფლობითია და მის ხარჯებს ანაზღაურებს მწარმოებელი/დისტრიბუტორი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 29.03.2012წ.

მუხლი 5. სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებლის/ დისტრიბუტორის ვალდებულებები

1. სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი ვალდებულია, უზრუნველყოს გასანადგურებელი ან/და უტილიზაციისათვის განკუთვნილი სურსათის/ცხოველის საკვების შენახვა იზოლირებულად, შესაბამისი შენახვის პირობების დაცვით.

2. გასანადგურებელი ან/და უტილიზაციისათვის განკუთვნილი სურსათის/ცხოველის საკვების რაოდენობა აღრიცხულ უნდა იქნეს მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ. მონაცემები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სურსათის/ცხოველის საკვების სახეობის, დასახელების, წონის, მოცულობის, პარტიის ნომრისა და რაოდენობის, პარტიის შეფუთული ერთეულის რაოდენობის, დამზადების თარიღისა და პარტიის ცვლის ნომრის შესახებ. მონაცემთა სისწორისათვის პასუხისმგებელია მწარმოებელი/დისტრიბუტორი.

3. სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს გასანადგურებელი სურსათის/ცხოველის საკვების გადასაზიდად გამოყენებული სატრანსპორტო და სხვა ტექნიკური საშუალებების სანიტარიული დამუშავება მათი დაცლის შემდეგ.

მუხლი 6. დავის გადაწყვეტა

სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №106 – ვებგვერდი, 29.03.2012წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების
ა ქ ტ ი N

„ ------ “ ---------- წ.

სურსათის/ცხოველის საკვების დასახელება

განადგურების ადგილი

საფუძველი ----------

გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი

სააგენტოს უფლებამოსილი პირები ----------

გვარი, სახელი, თანამდებობა

სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებლის/დისტრიბუტორის წარმომადგენელი

გვარი, სახელი, თანამდებობა, მისამართი, ტელეფონი

სხვა დამსწრენი ----------

განადგურება დაიწყო ---------- განადგურება დამთავრდა ----------

თვე, რიცხვი, საათი თვე, რიცხვი, საათი

გასანადგურებელი სურსათის/ცხოველის საკვების რაოდენობა (წონა/მოცულობა, პარტიის რაოდენობა და ნომერი), სახეობა (დასახელება, დამზადების თარიღი და პარტიის ცვლის ნომერი) და შეფუთვა-მარკირება (პარტიის შეფუთული ერთეულის რაოდენობა)

გაუვნებლობის მეთოდი ----------

განადგურების მეთოდი ----------

სატრანსპორტო საშუალება, დამუშავების მეთოდი ----------
(სახელმწიფო სერია და ნომერი)

შენიშვნა ----------

აქტის შედგენის ადგილი, თარიღი და დრო ----------

აქტი შედგენილია 2 ეგზემპლარად

ხელმოწერები გვარი, სახელი, თანამდებობა

1. ---------- ----------
2. ---------- ----------

დამსწრენი

1. ---------- ----------
2. ---------- ----------